„წარმატებული სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭების“ კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს 2024 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „წარმატებული სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭების“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს;
2. ქვეპროგრამის „წარმატებული სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭების“ ფარგლებში სტუდენტთა შერჩევა ხდება კონკურსის მეშვეობით.
3. კონკურსს ატარებს ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური (შემდგომში - სამსახური);
4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (შემდგომში - კონკურსანტი), თუ ის აკმაყოფილებს აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
5. ქვეპროგრამა „წარმატებული სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭება“ ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე სტიპენდიის გაცემას, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დამთავრებული აქვთ ონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის X, XI, XII კლასები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის, წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად;
6. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, დამრგვალების გარეშე.

მუხლი 2. კონკუსის მიზანი

კონკურსის მიზანია ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის სტიმულირება.

მუხლი 3. კონკურსი და მათი შერჩევის წესი

1. ბაკალავრის შემთხვევაში -ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია გაიცემა, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად. თუ ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, რეიტინგის მიხედვით.
2. მაგისტრანტის შემთხვევაში -ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია გაიცემა, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად. თუ ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში მიღებული შეფასების თანახმად.

მუხლი 4. სტიპენდიის ოდენობა

საუკეთესო შედეგის მქონე კონკურსანტი, რომლის საშუალო აკადემიური მოსწრების ქულა არის 91 და მეტი, ამ დებულებით დადგენილი პირობების დაცვით, მიიღებს სტიპენდიას თვეში 200 ლარის ოდენობით და ერთობლივად მოიცავს 4 სასწავლო თვეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 5. სტიპენდიის მისაღებად საჭირო დოკუმენტთა ნუსხა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა ონის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში -მერია) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) განცხადება;
   ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
   გ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3x4);
   დ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   ე) ცნობა, რომ ბოლო სამი წელი (X, XI, XII კლასები) სწავლობდა ონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში;
   ვ) ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა, სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის მითითებით;
   ზ) თუ განმცხადებელი ბაკალავრია - ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის შედეგების შესახებ;
   თ) თუ განმცხადებელი მაგისტრანტია - ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის წინა სემესტრის შედეგების შესახებ.
   ი) თუ ორ ან მეტ სტუდენტს, სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, მიღებული აქვს თანაბარი ქულა, ბაკალავრის შემთხვევაში დამატებით უნდა წარმოადგინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით, რანჟირების დოკუმენტი, ხოლო მაგისტრის შემთხვევაში, საერთო სამაგისტრო პროგრამებზე, მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში მიღებული შეფასების შედეგი;
   კ) საბანკო რეკვიზიტები.

2. სამსახური უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. განცხადების მიღების ვადები

1. 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდიის მისაღებად განაცხადის მიღება იწარმოებს 2024 წლის 30 მარტამდე;
2. 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით სტიპენდიების მისაღებად განაცხადების მიღება იწარმოებს 2024 წლის 01 ოქტომბრამდე.

მუხლი 7. კონკურის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:
   ა) დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;
   ბ) დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.
2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება (მისამართი: ქ. ონი დ. აღმაშენებლის ქუჩა N40) ან კონკურსანტი დოკუმენტაციას ელექტრონულად წარადგენს ონის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ ფოსტაზე: onismeria@gmail.com;
3. რეგისტრირებული დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცემა ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურს (შემდგომში - სამსახური).
4. სამსახური შეისწავლის დოკუმენტაციას და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი).
5. არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური აცნობებს კონკურსანტს აღნიშნულის შესახებ, განცხადებაში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად.
6. თუ კონკურსანტი არ გამოასწორებს ხარვეზს, სამსახური არ განიხილავს კონკურსანტის განაცხადს.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი და სტიპენდიების გაცემა

1. სამსახური, შემოსული განცხადების განხილვის შედეგად, განცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 15 დღის ვადაში, გამოავლენს საუკეთესო შედეგების მქონე კონკურსანტებს.
2. კონკურსის შედეგების თაობაზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს სამსახურის უფროსი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში.
3. სამსახურის უფროსი, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას, აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, წარუდგენს ონის მუნიციპალიტეტის მერს.

4. ონის მუნიციპალიტეტის მერი კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსში გამარჯვებულ პირებზე სტიპენდიის გაცემის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.oni.gov.ge.
5. სამსახური, ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უგზავნის მოხსენებით ბარათს კონკურსში გამარჯვებულ პირებზე, სტიპენდიის გაცემის მოთხოვნით. მოხსენებით ბარათს თან უნდა დაერთოს კონკურსში გამარჯვებულ პირთა პირადობის მოწმობის ასლები და მათი საბანკო რეკვიზიტები.
6. კონკურსში გამარჯვებულ პირებზე 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდიები გაიცემა არაუგვიანეს 2024 წლის 15 მაისისა და ერთობლივად მოიცავს 4 სასწავლო თვეს.
7. კონკურსში გამარჯვებულ პირებზე 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდია გაიცემა არაუგვიანეს 2024 წლის 15 ნოემბრისა და ერთობლივად მოიცავს 4 სასწავლო თვეს.